ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29.292209610**
თარიღი:**06/04/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #7 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საფუძველზე, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა დანართის მიხედვით;

მუხლი 2. განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ;

მუხლი 3. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM